ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-03253511-03
თარიღი: 17.12.2025 09:28
ვადა: 16.01.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01253503560 განცხადების თარიღი: 16.12.2025
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-03253511-03
17.12.2025 : 09:28
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01253503560**
თარიღი: **16/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ზურაბ აბაშიძეს

ბატონო ზურაბ,

გიგზავნით „ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართის სახით, ასევე, გიგზავნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 16 დეკემბრის №25.2151.2426 განკარგულებას „ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე“.

დანართი: 372 (სამას სამოცდათორმეტი) ფურცელი და excel-ის დოკუმენტი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

განკარგულება - N 25.2151.2426
16 / დეკემბერი / 2025 წ.

„ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის ,,ბ.ა" და „ე.ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნეს „ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტი წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 14 აგვისტოს N25.1380.1547 განკარგულება.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ანდრია ბასილაიას.

5.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №

2025 წლის __
ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 64-ე მუხლის „ა“ პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს:

ა) „ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია (ხედვა 2040) და 2025-2030 წლების მართვის გეგმა დანართი 1-ის შესაბამისად.

ბ) „ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა (2025-2030 წწ.) დანართი 2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

დანართი 1

ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგია (ხედვა 2040) და 2025-2030 წლების მართვის გეგმა

დანართი 2

თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმა (2025-2030წწ.)

„ქ. თბილისის მუნიციპალური ნარჩენების მართვის სტრატეგიის - ნარჩენების მართვის გეგმისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი:

საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-13 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად თითოეული მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს მის ტერიტორიაზე წარმოქმნილი მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის დანერგვა და გამართული ფუნქციონირება ასევე მუნიციპალური ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება.

ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით ევროკავშირის მუნიციპალური პროექტების მხარდაჭერის ფონდის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD)-ის მხარდაჭერით ტექნიკური თანამშრომლობის ფონდების პროგრამის ფარგლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ICP-ENVIROPLAN კონსორციუმს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადდა დედაქალაქის ნარჩენების მართვის სტრატეგიისა და ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის წარმოდგენილი პროექტი.

წინამდებარე პროექტი შემუშავდა იმისთვის, რომ თბილისს ჰქონდეს მყარი მუნიციპალური ნარჩენების პრევენციის, ნარჩენების წყაროსთან სეპარირების და შეგროვების, რეციკლირებისა და აღდგენის საკუთარი სტრატეგია, ნარჩენების მართვის გეგმა და შესაბამის წლებზე გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

უკანასკნელ წლებში, ზოგადად ქვეყანაში, განსაკუთრებით კი თბილისში, მყარი ნარჩენების მართვა საგრძნობლად გაუმჯობესდა. მიუხედავად ამისა, ეს დარგი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება როგორც ქვეყნის, ისე ქალაქის მასშტაბით.

საქართველოს ნარჩენების მართვის კანონმდებლობა დაახლოებული და ჰარმონიზებული იქნა ევროკავშირის ნარჩენების მართვის კანონმდებლობასთან ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად, მაგრამ საქართველოში დღეს არსებული პრაქტიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ევროკავშირის ნარჩენების მართვის 5-საფეხურიანი იერარქიისგან. ნარჩენების მართვის 5-საფეხურიან იერარქიაში პრევენცია საუკეთესო ვარიანტად ითვლება, მას მოსდევს ხელახალი გამოყენება, რეციკლირება და აღდგენის სხვა ფორმები, ხოლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსება ყველაზე ნაკლებ სასურველი ვარიანტია. თბილისში (ისევე როგორც მთლიანად საქართველოში) მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემები ძირითადად ისევ ნაგავსაყრელებზეა დამოკიდებული, სადაც ბიოდეგრადირებადი ნარჩენების უდიდესი ნაწილი მუნიციპალურ ნარჩენებთან ერთად ნაგავსაყრელებზე ხვდება, რაც იწვევს ამ ობიექტებიდან ნაჟური წყლისა და სათბურის აირების ემისიების წარმოქმნას.

წარმოდგენილი ქალაქ თბილისის ნარჩენების პრევენციის - ნარჩენების მართვის გეგმის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზანს წარმოადგენდა ნარჩენების პრევენციის სტრატეგიის მომზადება, ნარჩენების პრევენციის ღონისძიებების შესაძლო გავლენის შეფასება ევროკავშირის დირექტივებში და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული რეციკლირების მიზნობრივი მაჩვენებლების შეფასება, რეციკლირების კონკრეტული, სათანადო და შედარებადი სცენარების შემუშავება და ამ სცენარების გავლენის შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა, სხვადასხვა რეციკლირებადი ნარჩენის წყაროსთან სეპარირებული შეგროვების სათანადო ვარიანტების წარდგენა, რეციკლირების სხვადასხვა სცენარის განხორციელებისთვის დამატებითი ინფრასტრუქტურული საჭიროებების შეფასება, ნარჩენების შეგროვების პროცესში, ნაგავმზიდების მოძრაობის ოპტიმალური მარშრუტების გათვალისწინება, პრევენციისა და რეციკლირების სხვადასხვა სცენარისთვის წამახალისებელი სისტემების, დაფინანსების ვარიანტებისა და აუცილებელი პოლიტიკური ცვლილებების შესახებ ინფორმაციის წარდგენა, ყველა სცენარისთვის, მორჩენილი ნარჩენების დამუშავებისა და განთავსების სხვადასხვა ვარიანტის შეთავაზება და აღწერა, ტექნიკური დახმარების სხვა მნიშვნელოვანი მიმდინარე ან დასრულებული პროექტების შედეგებთან შედარება და შეძლებისდაგვარად გათვალისწინება.

არსებული მდგომარეობის კვლევის ანგარიში ეხება თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას და მიმოიხილავს ქალაქის მყარი მუნიციპალური ნარჩენების მართვის მოქმედ სისტემას (2019-2031 წწ.), აგრეთვე მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, პრობლემებს და ხარვეზებს შემდეგზე: საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ინსტიტუციური საკითხები, ორგანიზაციული საკითხები, ტექნიკური საკითხები (ნარჩენების სხვადასხვა ნაკადის შეგროვებით და ტრანსპორტირებით დაწყებული, მათი დამუშავებით ((ასეთის არსებობისას) და საბოლოო განთავსებით დამთავრებული), ასევე ფინანსური საკითხები (სატარიფო და ხარჯებისა და შემოსავლების სისტემების ჩათვლით).

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად დედაქალაქი ეტაპობრივად გადავა საყოფაცხოვრებო ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვაზე - პირველ ეტაპზე გულისხმობს ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას 2 კონტეინერის სისტემით - 1 კონტეინერი (სველი) მორჩენილი ნარჩენებისთვის + 1 კონტეინერი (მშრალი) რეციკლირებადი მასალებისთვის.

შემდგომი ეტაპი შესაძლებელია იყოს ნარჩენების სეპარირებულ შეგროვება 3 კონტეინერის სისტემით - 1 კონტეინერი მორჩენილი ნარჩენებისთვის + 1 კონტეინერი ყველა სახის რეციკლირებადი ნარჩენისთვის + 1 კონტეინერი ბიონარჩენებისთვის + დამუშავების სხვადასხვა ვარიანტი).
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში საშუალოდ 411,000 ტონა ნარჩენი გროვდება წელიწადში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა ქ.თბილისის მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის ანალიზი, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

ნარჩენების ნაკადები	ქ. თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობა
ორგანული ნარჩენები	**46.7%**
პლასტმასი	**15.3%**
ქაღალდი/მუყაო	**15.7%**
ქსოვილი	**2.2%**
მეტალი	**1.4%**
მინა	**2.5%**
ხე	**1.1%**
სამშენებლო და ნგრევის ნარჩენები	**1.6%**
სახიფათო ნარჩენები	**0.6%**
პენოპოლისტიროლი (EPS)	**0.1%**
ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენები	**0.02%**
მორჩენილი ნარჩენები	**12.7%**
ჯამი	**100.0%**

ქ. თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობის შედეგები

- **ორგანული ნარჩენების** წილი - **დაახლოებით 47%**;
- **რეციკლირებადი მასალების** წილი (პლასტმასი, ქაღალდი/მუყაო, მეტალი, მინა, ხე და ქსოვილი) - **დაახლოებით 38%** (მაქსიმალური შესაძლო მაჩვენებელი);
- **ელექტრო და ელ. მოწყობილობების ნარჩენების** უმნიშვნელო წილი - **< 0.1%**;
- **სახიფათო ნარჩენების** წილი - **< 1%**. ანალიზის დროს მყარი მუნიციპალური ნარჩენების შემადგენლობაში აღმოჩნდა შემდეგი ძირითადი ნაკადები: სამედიცინო ნარჩენები (ნემსები, მედიკამენტები), ნარჩენი ზეთები, ძველი საღებავები, ბატარეები და აკუმულატორები, მელნის შემცველი კარტრიჯი პრინტერებისთვის, მანქანების ჰაერის ფილტრები, ა.შ.;

- **შეფუთვის ნარჩენების** წილი შეიძლება **შეფასდეს** როგორც ქ. თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების მთლიანი რაოდენობის **30%**;
- **დეპოზიტის სქემას დაქვემდებარებული შეფუთვის ნარჩენების** წილი შეიძლება **შეფასდეს** როგორც ქ. თბილისის მყარი მუნიციპალური ნარჩენების მთლიანი რაოდენობის დაახლოებით **4%.**

ზემოაღნიშნული მონაცემები ცხადჰყოფს, რომ რეციკლირებადი მასალების სეპარირებულად შეგროვების შედეგად, შესაძლებელი იქნება მათი რეალიზაცის, რაც მუნიციპალიტეტს დამატებით შემოსავალს მოუტანს.

ა.ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზანი:

ნარჩენების მართვის სტრატეგიის, ნარჩენების მართვის გეგმისა და შესაბამისად მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების მიზანს წარმოადგენს დედაქალაქში ნარჩენების მართვის ისეთი სისტემის დანერგვა, რომლითაც ეტაპობრივად უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალური ნარჩენების პრევენცია, სეპარირებული შეგროვება, რაც საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს დაახარისხოს შეგროვებული მუნიციპალური ნარჩენები შემდგომი რეალიზაციის მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები კი ავტომატურად გამოიწვევს ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნაკლები ნარჩენის განთავსებას, რაც თავის მხრივ გაზრდის ნაგავსაყრელის სიცოცხლისუნარიანობას.

ა.გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტი შემუშავდა იმისთვის, რომ დედაქალაქს ჰქონდეს მყარი მუნიციპალური ნარჩენების პრევენციის, ნარჩენების წყაროსთან სეპარირების და შეგროვების, რეციკლირებისა და აღდგენის საკუთარი სტრატეგია, ნარჩენების მართვის გეგმა და შესაბამისი წლებზე გაწერილი კონკრეტული სამოქმედო გეგმა.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული დანახარჯების გაწევას გრძელვადიან (რამდენიმე წლიან 2031 წლამდე) პერიოდში ეტაპობრივად.

გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ინიციატორის მოსაზრებით დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.